



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 ოქტომბერი 2024



N 584/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ირაგაში, შპს „ჯორჯია ლენდ ჰოლდინგის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯორჯია ლენდ ჰოლდინგის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფ. ირაგაში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ჯორჯია ლენდ ჰოლდინგის“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ირაგაში, თავისივე საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 84.14.32.237, 84.14.35.240, 84.14.35.241, 84.14.32.042; ჯამური ფართობი: 869 897 მ²) გაშენებული აქვს კაკლის ბაღი, რომლის მოსარწყავად, აღნიშნული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (867 321 მ²) გეგმავს სამელიორაციო სისტემის მოწყობას. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. პატარა ირაგა, მდებარეობს ჩრდილოეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 65 მეტრში, ხოლო წყალაღების წერტილიდან – დაახლოებით 760 მეტრში. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 180 მეტრში, მდებარეობს სოფ. ალექსეევკა, რომელიც წყალაღების წერტილიდან დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ფიქსირდება სახელმწიფო ტყე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გაშენებული კაკლის ბაღის (დაახლოებით 20 000 ძირი ნერგი) მორწყვა გათვალისწინებულია ტერიტორიის სამხრეთით არსებული უსახელო ხევიდან, რომელიც წარმოადგენს მდ. ასლანისწყლის მარჯვენა შენაკადს. წყალაღების წერტილში (GPS კოორდინატები: X-443647, Y-4599111) მოეწყობა მცირე ზომის ლითონის კონსტრუქციის ნაგებობა, სადაც განთავსდება 10 000 ლ/სთ წარმადობის ტუმბო. მდინარის წყლის შედინების მიზნით, ნაგებობის გვერდით, განთავსდება ხრეშოვანი დრენაჟი, სადაც მოთავსდება 150 მმ დიამეტრის პლასტმასის მილი. აღებული წყალი დაახლოებით 370 მ სიგრძისა და 150 მმ დიამეტრის პლასტმასის მილის მეშვეობით, მიეწოდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობაში მოსაწყობ 2 000 მ³ მოცულობის ბეტონის რეზერვუარს (GPS კოორდინატები: X-443925, Y-4599350; X-443903, Y-4599365; X-443916, Y-4599382; X-443938, Y-4599366), სადაც დაგროვდება სარწყავი წყლის მარაგი. აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში ასევე განთავსდება 3 ტუმბო (ერთი სარეზერვო), 2 პლასტმასის ავზი (2 მ³) სასუქის წყალში გაზავებისთვის და 2 მექანიკური ფილტრი, რომლებიც უზრუნველყოფს სარწყავი წყლის ქვიშისა და ლამისაგან მექანიკურ გაწმენდას. გაფილტრული სარწყავი წყალი, 8 995 მეტრი საერთო სიგრძისა და 140 მმ, 110 მმ, 90 მმ, 75 მმ და 63 მმ დიამეტრის მქონე მიწისქვეშა მილებით, მიეწოდება წვეთოვან სარწყავ სისტემას და გადანაწილდება კაკლის ნერგებამდე. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, ხაზობრივი ნაგებობის საერთო სიგრძე შეადგენს 9 365 მეტრს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე გაშენებული კაკლის ბაღის მორწყვა გათვალისწინებულია წელიწადში 2 თვის განმავლობაში (ივლისი-აგვისტო). კაკლის ნერგების

მორწყვა განხორციელდება წელიწადში 4-ჯერ, 2-ჯერ ივლისის და 2-ჯერ აგვისტოს თვეში, რისთვისაც გამოყენებული იქნება ჯამურად 3 200 მ³ წყალი. აღსანიშნავია, რომ მოცემული რაოდენობის წყლის ამოღებით, ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, წყალაღების წერტილის მიმდებარედ სხვა წყალმოსარგებლები არ ფიქსირდება და საქმიანობის შედეგად კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სარწყავი სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები გაგრძელდება მაქსიმუმ 3 თვის განმავლობაში, რისთვისაც გამოყენებული იქნება თვითმცლელი და ექსკავატორი/ტრაქტორი. სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა განთავსდება მიწისქვეშა მიწების განსათავსებლად განკუთვნილი თხრილის ერთ მხარეს, ხოლო ექსკავირებული გრუნტი – თხრილის მეორე მხარეს. მიწების განთავსების შემდგომ, ამოღებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დაეფინება პირვანდელ ადგილზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამელიორაციო სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების ხანგრძლივობის და გამოსაყენებელი ტექნიკის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპი, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ უკავშირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სარწყავი სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების ხანგრძლივობის და გამოსაყენებელი ტექნიკის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოების პროცესში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სატუმბი დანადგარები, რომლებიც განთავსებული იქნება დახურულ შენობა-ნაგებობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია, დასახლებულ პუნქტებთან დაშორების მანძილების გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ამასთან, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, shp ფაილებით წარმოდგენილი კაკლის ბაღის 867 321 მ² ტერიტორია და ხაზობრივი ნაგებობა „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, არ მდებარეობს და არ არის ზედდებაში სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება მგრძობიარე ჰაბიტატების და კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოება, ასევე, „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მრავალწლიანი და 8 სმ-ზე დიდი დიამეტრის მქონე ხეების ჭრას. საჭიროების შემთხვევაში, წყალაღების წერტილში დაგეგმილი ლითონის კონსტრუქციის ნაგებობის მოსაწყობად, მოხდება არსებული ბუჩქნარის გარემოდან ამოღება. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის კვლევაზე დაყრდნობით, ტერიტორიაზე ცხოველთა ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები არ ფიქსირდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სარწყავი სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ირაგაში შპს „ჯორჯია ლენდ ჰოლდინგის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯორჯია ლენდ ჰოლდინგი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯორჯია ლენდ ჰოლდინგს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯორჯია ლენდ ჰოლდინგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/584-21-4-202410111607>

